ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 06 ივნისი 2014 წ.

ვადასტურებ, რომ სანიაღვრე წყლების ზღვის სიღრმეში ჩაშვებისა და სატუმბი სადგურის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ელექტრონული ტენდერის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის
საკრებულოს თავმჯდომარე: ირაკლი ჩავლეიშვილი

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N140

ქ. ბათუმი 06 ივნისი 2014 წ.

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია, (შემდგომში – „შემსყიდველი") წარმოდგენილი აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის ირაკლი ჩავლეიშვილის სახით, და მეორეს მხრივ შპს „ქავალჯი მუჰენდისლიქ და მუშავირლიქ ბილიშიმ", (შემდგომში - „მიმწოდებელი") მისი მეჰმედ ქავალჯის სახით, (ელექტრონული ტენდერი - SPA140010508) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა განახორციელოს სანიაღვრე წყლების ზღვის სიღრმეში ჩაშვებისა და სატუმბი სადგურის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება (CPV71300000-საინჟინრო მომსახურებები), შემდგომში - „მომსახურება", ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით. (მომსახურების ჩამონათვალი მოცემულია დანართში, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს).

1.2. მიმწოდებელი ასრულებს, ხოლო შემსყიდველი ღებულობს შესრულებულ მომსახურებას და ახდენს მისი ღირებულების ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტის შესაბამისად.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის.

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 494760,00 (ოთხასოთხმოცდათოთხმეტი ათას შვიდასსამოცი) ლარი.

2.2. შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება, არაუმეტეს 30%-ისა, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადას;

2.3. არარეზიდენტთან ანგარიშსწორება განხორციელდება ევროში, გადახდის დღეს სახელშეკრულებო ფასიდან საქართველოს კანონმდებლობით გადახდის წყაროსთან გათვალისწინებული გადასახადების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი თანხიდან შემსყიდველის მომსახურე ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად;

2.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის (არარეზიდენტი პირის შემთხვევაში ინვოისის) წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობა

3. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

3.1. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლს, შესრულებული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით მი-

KAVALCI
MÜHENDİSLİK ve MUŞAVİRLİK
BİLİŞİM LİMİTED ŞİRKETİ
Aziziye Mah. Cinnah Cad. No: 48/9 Çankaya
Tel: 0.312 442 92 60 ANKARA
Hitit V. D. 529 047 1958

ღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას და ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს საკონსულტაციო კომპანია „Macs"-ი თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიასთან 2010 წლის 16 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ დროს ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებლებრივი აქტით მიანიჭოს ქ. ბათუმის მერიის სხვა თანამშრომელს ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერ სხვა პირს. შემსყიდველის ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს მიმწოდებლის არც წინასწარ და არც შემდგომ თანხმობას და იგი ძალაში შედის შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

3.2. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლის, შესრულებული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება–ჩაბარების მიზნით მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილების 3.1. პუნქტის შესაბამისად შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირზე მინიჭების შემდეგ ასეთი უფლებამოსილების მინიჭებამდე შესრულებული მომსახურების კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების შედეგები და გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

3.3. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესრულებული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

4.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

4.4. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

4.5. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

KAVALCI
MÜHENDİSLİK ve MÜŞAVİRLİK
BİLİŞİM LİMİTED ŞİRKETİ
Aziziye Mah. Cinnah Cad. No: 48/9 Çankaya
Tel: 0.312 442 92 60 ANKARA
Hitit V. D. 529 047 1958

ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას.
ბ) მომსახურების შესრულების დამოწმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.
გ) მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვის მომსახურების სრული ღირებულება, მომსახურების დასრულებისთანავე.
5.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების, შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. ხელშეკრულების პირობების შესრულების წესი

6.1. მომსახურების გაწევას "მიმწოდებელი" ასრულებს საკუთარი ძალებით. საპრო-ექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ვადა განისაზღვრება არაუმეტეს ხელ-შეკრულების ხელმოწერის დღიდან 90 კალენდარული დღით. ხელშეკრულებით გათვა-ლისწინებული მომსახურების მოცულობის 30%-მდე დასაშვებია გადაეცეს "შემსყიდ-ველის" მიერ მოწონებულ ქვეიჯარე ორგანიზაციას;
6.2. მომსახურების ნაწილის ქვეიჯარაზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვე-ვაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკ-რულების ფასის 0,5 % პროცენტის ოდენობით;
7.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
7.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალ-დებულებების შესრულებისაგან;
7.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთოღირებულების 5%-ისოდენობით.

KAVALCI
MÜHENDİSLİK ve MÜŞAVİRLİK
BİLİŞİM LİMİTED ŞİRKETİ
Aziziye Mah. Cinnah Cad. No: 48/9 Çankaya
Tel: 0.312 442 92 60 ANKARA
Vergi V. D. 529 047 1958

8. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

8.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება;

8.2. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფაზე თ.რ. სს „ზირაათ ბანკის"-ის მიერ მიმწოდებელზე გაცემული TZB-BAT 121228 საბანკო გარანტიის ღირებულება შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს.

8.3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია შეადგენს 24740.00 ლარს.

8.4. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფაზე თ.რ. სს „ზირაათ ბანკის"-ის მიერ გაცემული TZB-BAT 121228 საბანკო გარანტია ძალაშია 2014 წლის 25 ოქტომბრამდე პერიოდი.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

9.6. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა

9.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

9.9. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

10. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები

10.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

KAVAKCI MÜHENDİSLİK ve MÜŞAVİRLİK BİLİŞİM LİMİTED ŞİRKETİ
Aziziye Mah. Cinnah Cad. No: 48/9 Çankaya
Tel: 0.312 442 92 60 ANKARA
Hitit V. D. 529 047 1958

10.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2014 წლის 15 ოქტომბრამდე პერიოდი.

11. ფორს-მაჟორული სიტუაციები

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
11.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყონებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. გადასახადები და ბაჟები

13.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
14.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიანდგება.

KAVALCI
MÜHENDİSLİK ve MÜŞAVİRLİK
BİLİŞİM LİMİTED ŞİRKETİ
Aziziye Mah. Cinnah Cad. No: 48/9 Çankaya
Tel: 0.312 442 92 60 ANKARA
Vergi V. D. 529 047 1958

15. სხვა პირობები

15.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

15.2. ხელშეკრულება ძალაში შედის, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

15.3. ხელშეკრულება იდება ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია
მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25
ს/კ 245576826; ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ანგ. №GE51LB0120134812705002
ბ/კ: LBRTGE22
თვითმართველი ქალაქის - ბათუმის
საკრებულოს თავმჯდომარე
ირაკლი ჩავლეიშვილი

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

შპს „ქავალჯი მუჰენდისლიქ და
მუშავირლიქ ბილიშიმ“
ს.კ. 5290471958, მის: თურქეთი 06690
ჩანკაია- ანკარა აზიზიეს უბანი ჯინნაჰ-
ის ქ. N48/9. ბანკის დასახელება - „იაფი
კრედიტ ბანკი“. ბ/კ: ჩაქაია ჯინნაფ-ის
ფილიალი
ანგ.№TR98 0006 7010 0000 0088 3202 29
ტელ: +90 532 472 9455
დირექტორი: მეჰმედ ქავალჯი

ფილიალის ს/ კ: 445443404
ს.ს. „ზირაათ ბანკი“
ბანკის კოდი: TCZBGE22
№GE87ZB01 0000 3602 0011 85

(ხელმოწერა)
KAVALCI
MÜHENDİSLİK ve MÜŞAVİRLİK
BİLİŞİM LİMİTED ŞİRKETİ
Aziziye Mah. Cinnah Cad. No: 48/9 Çankaya
Tel: 0.312 442 92 60 ANKARA
Hitit V. D. 529 047 1958

ტექნიკური პირობები

შესყიდვის ობიექტის მოცულობა:

ა) ჟილინის არხის სანიაღვრე წყლების სატუმბი სადგურისა და სატუმბიდან გამავალი მაგისტრალის ზღვის ფსკერზე მოწყობის, ასევე არდაგანის ტბის სატუმბი სადგურისათვის სანიაღვრე წყლების გადასატუმბი მაგისტრალის ზღვის ფსკერზე მოწყობის სამუშოების საპროექტო-საძიებო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვა, კერძოდ:

- ქ. ბათუმში, ჟილინის სანიაღვრე არხის სატუმბი სადგურის მშენებლობის საძიებო, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ქ. ბათუმში, ჟილინის სანიაღვრე არხის სატუმბი სადგურიდან სანიაღვრე წყლების ზღვის სიღრმეში ჩაშვების (სიგრძით 400 გრძ.მ - მდე) მშენებლობის საძიებო, საპრო-ექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ქ. ბათუმში, არდაგანის ტბის სატუმბი სადგურიდან სანიაღვრე წყლების ზღვაში ჩაშვების მაგისტრალის (სიგრძით 400 გრძ.მ-მდე) მშენებლობის საძიებო, საპროექ-ტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქართულ და ინგლისურ ენებზე.

წინამდებარე ტექნიკურ პირობებში მოცემულია მითითებები, რითაც უნდა იხელ-მძღვანელოს „მიმწოდებელმა", რომ დამუშავდეს მაღალ ხარისხიანი პროექტები, თანამედროვე ევროპული ტექნოლოგიებისა და სტანდარტების შესაბამისად. გასაწევი მომსახურების ღირებულება გამოსახულ უნდა იქნას ლარებში.

საპროექტო დავალება:

სანიაღვრე კანალიზაციის სატუმბისა და 2 ზღვაში ჩაშვების მაგისტრლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისათვის შემუშავებული უნდა იქნეს შემდეგი საკითხები(წარმოდგენილი საბოლოო დოკუმენტაცია უნდა იყოს როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენებზე):

1. ტოპოგრაფიული და გეოლოგიური გამოკვლევა, საველე კვლევა-ძიება სანიაღვრე სატუმბი სადგურის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიის (მინიმუმ ორი შურფი, H=15 მ.);
2. ჰიდროლოგიური და ბათიმეტრიული კვლევა ორივე ზღვაში ჩაშვების მილის საპროექტო მდებარეობის გასწვრივ;
3. ჰიდრავლიკური კალკულაცია, მაქსიმალური სანიაღვრე წყლების ხარჯზე დაყრდ-ნობით სატუმბი სადგურის სიმძლავრის განსაზღვრა (ჟილინის არხის სანიაღვრე წყლების მაქსიმალური ხარჯი მიწოდებული იქნება ქ. ბათუმის მერიის მიერ);
4. ჟილინის არხის სატუმბი სადგურის პროექტის არქიტექტურული ნაწილი. სტრუქ-ტურული და სტატიკური კალკულაციები;

KAVALCI
MÜHENDİSLİK ve MÜŞAVİRLİ
BİLİŞİM LİMİTED ŞİRKETİ
Cizive Mah. Cinnah Cad. No: 48/9 Çank
Tel: 0.312 442 92 60 ANKAR
Vergi V. D. 529 047 1

5. ჟილინის არხის სატუმბი სადგურის მექანიკური კონსტრუქციების პროექტი;

6. ჟილინის არხის სატუმბი სადგურის ელექტრო სამუშაოების პროექტი;

7. პროექტების ანგარიშების მომზადება;

8. ტექნიკური სპეციფიკაციების მომზადება მექანიკური და ელექტრო სამუშაოები-სათვის;

9. ტექნიკური სპეციფიკაციების მომზადება ზღვაში ჩაშვების სამშენებლო სამუშაოები-სათვის;

10. პროექტების ხარჯთაღრიცხვების მომზადება და ერთეულის ფასის განსაზღვრა. ობიექტების სავარაუდო ღირებულების დადგენა;

ტექნიკური დავალება იმგვარად უნდა იყოს შედგენილი, რომ უზრუნველყოს პრეტენ-დენტებისათვის მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ მაჩვენებლებზე, ხარისხზე, სტანდარტებზე, ძირითად საექსპლუატაციო მახასიათებლებზე, გამოსაყენებელ ნედლეულზე და სხვა სავალდებულო პარამეტრებზე.

ტექნიკური დავალების შემადგენელი ტექსტური მასალები, სპეციფიკაციები, გეგმები, ნახაზები, ესკიზები, მომსახურების აღწერილობა და სხვა უნდა ასახავდეს სამუშაოების ობიექტურ ტექნიკურ და ხარისხობრივ პარამეტრებს, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო სტანდარტულ მაჩვენებლებს, მოთხოვნებს, ტერმინოლოგიას და პირობით აღნიშვნებს. განსახორციელებელი სამუშაოები და გამოყენებული მასალები უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს: (EN) და/ან DIN.

დავალების შინაარსი:

სხვადასხვა მიზეზების გამო, საჭირო შემთხვევებში, მიმწოდებელთან შეთანხმებით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები შეთანხმებულ საწყის გეგმაში: გაზარდოს ან შეამციროს მომსახურების მოცულობა ცალკეულ პუნქტებში. შესასრულებელი სამუშაოების ხარისხის გაზრდისა და ღირებულების შემცირების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია:

- საკვლევაძიებო და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების დროულად და ხა-რისხიანად შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებ-თან პროექტის საჭირო წინასწარი შეთანხმებები გარდა სამშენებლო მოედნისა, ტერიტო-რიის გამოყოფის და განთავისუფლებისა, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველის მოვალე-ობას;
- პროექტებში გათვალისწინებული უნდა იქნეს მშენებლობაში მიღწეული და დაგ-როვილი საერთაშორისო გამოცდილებები ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენებით საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე;

მიმწოდებელი პასუხისმგებელია ყველა საჭირო საოფისე ფართის, აღჭურვილობის, მოწყობილობის, ტრანსპორტის უზრუნველყოფა ზედა ყველა საველე სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკაზე.

მიმწოდებლის პასუხისმგებლობა:

ა) მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის ხა-რისხიანად დამუშავებაზე და სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტა-ციის შედგენაზე.

კუთვნილება

KAVALCI
MÜHENDİSLİK ve MÜŞAVİRLİK
BİLİŞİM LİMİTED ŞİRKETİ
Yeniziye Mah. Cinnah Cad. No: 48/9 Çankaya
Tel: 0.312 442 92 60 ANKARA
Vergi Dairesi V. D. 529 047 1959

ა) ამ დავალებასთან დაკავშირებული მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და რჩება მის საკუთრებაში;

ბ) მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე;

გ) მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს პროექტის ნაწილის ან სრული მოცულობის ელექტრონული ვერსია.

საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა

მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 4 ეგზემპლარად და მისი შესაბამისი ელექტრონული ვარიანტი როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე. ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, განმარტებითი ბარათი და ა.შ.) უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით Sylfaen (ქართული ვერსია) და Arial (ინგლისური ვერსია), ხოლო ნახაზები უნდა იყოს PDF ფორმატში, ამასთანავე თითოეული ფაილის ოდენობა ზომით არ უნდა აღემატებოდეს 7 მეგაბაიტს.

KAVALCI
MÜHENDİSLİK ve MÜŞAVİRLİK
BİLİŞİM LİMİTED ŞİRKETİ
Aziziye Mah. Cinnah Cad. No: 48/9 Çankaya
Tel: 0.312 442 92 60 ANKARA
Vergi V. D. 529 047 1958

ფასების ცხრილი

№	საპროექტო მომსახურების დასახელება	მომსახურების სავარაუდო ღირებულება (ლარი)	მომსახურების პროცენტი	ღირებულება
1	ქ. ბათუმში, ჟილინის სანიაღვრე არხის სატუმბი სადგურის მშენებლობის საძიებო, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქართულ და ინგლისურ ენებზე	2 300 000	6,01%	138230,00
2	ქ. ბათუმში, ჟილინის სანიაღვრე არხის სატუმბი სადგურიდან სანიაღვრე წყლების ზღვის სიღრმეში ჩაშვების (სიგრძით 400 გრძ.მ. - მდე) მშენებლობის საძიებო, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქართულ და ინგლისურ ენებზე	5 050 000	3,50%	176750,00
3	ქ. ბათუმში, არდაგანის ტბის სატუმბი სადგურიდან სანიაღვრე წყლების ზღვაში ჩაშვების მაგისტრალის (სიგრძით 400 გრძ.მ-მდე) მშენებლობის საძიებო, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქართულ და ინგლისურ ენებზე	5 050 000	3,56%	179780,00
	ჯამი	12 400 000	3,99%	494760,00

KAVALCI
MÜHENDİSLİK ve MÜŞAVİRLİK
BİLİŞİM LİMİTED ŞİRKETİ
Eziziye Mah. Cinnah Cad. No: 48/9 Çankaya
Tel: 0.312 442 92 60 ANKARA
Vergi V. D. 529 047 1958

თ.რ. ს.ს. ზირაათ ბანკის
თბილისის ფილიალის
ბათუმის სერვის ცენტრი

T.C. ZİRAAT BANKASI A.Ş.
Tbilisi Branch
Batumi Service Center

N 113

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

(საბანკო გარანტია) TZB-BAT 121228

ვის: ქ. ბათუმის მერიას

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ KAVALCI MUHENDISLIK VE MUSAVIRLIK BILISIM LTD. STI. (5290471958-AZIZIYE MAHALLESI CINNAH CADDESI No:48/9) შემდგომში „მომწოდებელმა" SPA140010508 ტენდერში წარდგენილი თავისი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ, გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ჩვენ, სს „ზირაათ ბანკის" თბილისის ფილიალი, ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე 24 740 (ოცდაოთხიათას შვიდასორმოცი) ლარი და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია **2014 წლის 25 ოქტომბრამდე.**

ონურ ფელენთ

დირექტორის მოადგილე

06/06/2014

მისამართი: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის N1/რუსთაველის N 25

6000 ბათუმი, საქართველო ლ. ასათიანის/რუსთაველის 1/25
6000 Batumi, Georgia L. Asatiani/Rustaveli 1/25
(+995 422) 227 501
E-mail: batumi@ziraatbank.com